



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 362

15/02/2018

ქალაქი ბათუმი

362-05-4-201802151506



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალზე მდებარე 27 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.31.01.781) პრივატიზებაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №02 განკარგულების, „მუნიციპალური ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №03 განკარგულებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 8 თებერვლის №420-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **გზრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალზე მდებარე 27 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.31.01.781) პრივატიზება გენხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალზე მდებარე 27 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.31.01.781) საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 540 (ხუთასორმოცი) ლარის ოდენობით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“ განისაზღვროს 162 (ასამოცდაორი) ლარის ოდენობით.
4. „ბიჯი“ განისაზღვროს 20 (ოცი) ლარის ოდენობით.
5. აუქციონში გამარჯვებულმა ქონების გადასახადი უნდა გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში.
6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალზე მდებარე 27 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.31.01.781) ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზაციის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ა. ბაჟაშვილი).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

